

შპს ინტერლაბი

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს ინტერლაბი

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3
მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	5
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	6
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. მომზადების საფუძველი	6
3. სააღრიცხვო პოლიტიკა	6
4. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ	10
5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	11
6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	11
7. მარაგები	11
8. ძირითადი საშუალებები	12
9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	13
10. მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი	13
11. ამონაგები	13
12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	13
13. მიწოდების ხარჯები	14
14. მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან - წმინდა	14
15. ფინანსური ხარჯი	14
16. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	14
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	14
18. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება	15


შპს ინტერლაბი

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები წარმოდგენილია ლარში)	შენიშვნა	2021-12-31	2020-12-31
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები (2020 წელს ადრე წარდგენილი 217,977 ლარი)	5	229,846	79,263
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები (2020 წელს ადრე წარდგენილი 629,906 ლარი)	6	998,079	640,370
საგადასახადო აქტივები (2020 წელს ადრე წარდგენილი 238,974 ლარი)		305,019	139,529
მარაგები (2020 წელს ადრე წარდგენილი 614,782 ლარი)	7	676,676	606,733
სულ მოკლევადიანი აქტივები (2020 წელს ადრე წარდგენილი 1,701,638 ლარი)		2,209,620	1,465,895
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები (2020 წელს ადრე წარდგენილი 1,037,902 ლარი)	8	1,165,784	1,037,962
სულ გრძელვადიანი აქტივები (2020 წელს ადრე წარდგენილი 1,037,902 ლარი)		1,165,784	1,037,962
მთლიანი აქტივები (2020 წელს ადრე წარდგენილი 2,739,540 ლარი)		3,375,404	2,503,857
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები (2020 წელს ადრე წარდგენილი 290,166 ლარი)	9	835,798	292,724
მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი	10	244,750	156,050
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები (2020 წელს ადრე წარდგენილი 446,216 ლარი)		1,080,548	448,774
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები (2020 წელს ადრე წარდგენილი 133,907 ლარი)	10	109,360	124,203
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები (2020 წელს ადრე წარდგენილი 133,907 ლარი)		109,360	124,203
მთლიანი ვალდებულებები (2020 წელს ადრე წარდგენილი 580,123 ლარი)		1,189,908	572,977
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი) (2020 წელს ადრე წარდგენილი 2,159,418 ლარი)		2,185,496	1,930,880
სულ საკუთარი კაპიტალი (2020 წელს ადრე წარდგენილი 2,159,418 ლარი)		2,185,496	1,930,880
მთლიანი ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი (2020 წელს ადრე წარდგენილი 2,739,541 ლარი)		3,375,404	2,503,857

დირექტორი



ზურაბ მაისურაძე

6-15 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს


შპს ინტერლაბი

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები წარმოდგენილია ლარში)	შენიშვნა	2021 წელი	2020 წელი
ამონაგები	11	2,774,830	1,948,992
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება (2020 წელს ადრე წარდგენილი -1,290,449 ლარი)		(1,809,180)	(1,290,439)
საერთო მოგება (2020 წელს ადრე წარდგენილი 658,543 ლარი)		965,650	658,553
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი (2020 წელს ადრე წარდგენილი -263,771 ლარი)	12	(382,814)	(309,502)
მიწოდების ხარჯები (2020 წელს ადრე წარდგენილი -10,411 ლარი)	13	(13,750)	(10,788)
სხვა შემოსავლები/ხარჯები-წმინდა (2020 წელს ადრე წარდგენილი 1,365 ლარი)		(16,234)	(15,709)
მოგება/(ზარალი) საკუთროსო სხვაობიდან - წმინდა (2020 წელს ადრე წარდგენილი -5,195 ლარი)	14	(11,996)	(21,681)
საოპერაციო მოგება (2020 წელს ადრე წარდგენილი 380,531 ლარი)		540,856	300,873
ფინანსური ხარჯი (2020 წელს ადრე წარდგენილი -83,926 ლარი)	15	(93,052)	(91,408)
მოგება დაბეგვრამდე (2020 წელს ადრე წარდგენილი 296,605 ლარი)		447,804	209,465
მოგების გადასახადი (2020 წელს ადრე წარდგენილი -943 ლარი)		(28,978)	(27,214)
წმინდა მოგება (2020 წელს ადრე წარდგენილი 295,662 ლარი)		418,826	182,251
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი ადრე წარდგენილი		-	2,001,256
წინა პერიოდის შეცდომების გასწორება		-	(60,522)
გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი გადაანგარიშებული		1,930,880	1,940,734
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		(164,210)	(192,105)
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		2,185,496	1,930,880

დირექტორი



ზურაბ მამისურაძე

6-15 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს


შპს ინტერლაბი

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები წარმოდგენილია ლარში)	2021 წელი	2020 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებიდან მიღებული ფულადი სახსრები (2020 წელს ადრე წარდგენილი 2,473,198 ლარი)	3,129,723	2,377,826
ფულადი სახსრების სხვა შემოსვლები (2020 წელს ადრე წარდგენილი 0 ლარი)	33,482	-
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები (2020 წელს ადრე წარდგენილი - 1,716,335 ლარი)	(2,109,875)	(1,676,989)
თანამშრომლებზე გადახდილი თანხები (2020 წელს ადრე წარდგენილი -169,609 ლარი)	(190,507)	(178,189)
სხვა საოპერაციო ფულადი გასაღებები (2020 წელს ადრე წარდგენილი -8,580 ლარი)	(373,592)	(233,176)
გადახდილი გადასახადები (2020 წელს ადრე წარდგენილი -143,485 ლარი)	-	-
გადახდილი დივიდენდი (2020 წელს ადრე წარდგენილი -137,500 ლარი)	(156,000)	(147,500)
გადახდილი პროცენტები (2020 წელს ადრე წარდგენილი -89,611 ლარი)	(93,052)	(91,408)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან (2020 წელს ადრე წარდგენილი 208,077 ლარი)	240,179	50,564
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა (2020 წელს ადრე წარდგენილი 0 ლარი)	(159,794)	(37,992)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან (2020 წელს ადრე წარდგენილი 0 ლარი)	(159,794)	(37,992)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სასესხო ვალდებულებების ზრდა (2020 წელს ადრე წარდგენილი 69,900 ლარი)	177,933	162,688
სასესხო ვალდებულებების დაფარვა (2020 წელს ადრე წარდგენილი -72,900 ლარი)	(111,280)	(90,065)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან (2020 წელს ადრე წარდგენილი -3,000 ლარი)	66,653	72,623
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების ნეტო ზრდა (2020 წელს ადრე წარდგენილი 205,077 ლარი)	147,038	85,195
არარეალიზებული მოგება/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებში (2020 წელს ადრე წარდგენილი -8,957 ლარი)	3,545	(9,197)
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საწყისი ნაშთი (2020 წელს ადრე წარდგენილი 21,857 ლარი)	79,263	3,265
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საბოლოო ნაშთი (2020 წელს ადრე წარდგენილი 217,977 ლარი)	229,846	79,263

დირექტორი



ზურაბ მაისურაძე

6-15 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ინტერლაბი (კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2010 წლის 29 ოქტომბერს. კომპანიის 100%-იანი წლის მფლობელი და ასევე დირექტორი არის ზურაბ მაისურაძე.

კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა ფარმაცევტული საქონლით.

კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, მირიან მეფის ქ., №11ა

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

მსს ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული და დამტკიცებულია 2022 წლის 30 სექტემბერს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

სამუშაო და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში.

ოპერაციები და ნაშთები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის საოპერაციო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (უცხოური ვალუტები) წარმოებული ტრანზაქციები აღირიცხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსით.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წლის ბოლოსათვის დადგენილი ოფიციალური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მუხლში, „მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან-წმინდა“.

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი ერთეულები, რომლებიც აისახება თავდაპირველი ღირებულებით, კონვერტირდება ტრანზაქციის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით.

კომპანიას მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას წლის ბოლოს მდგომარეობით გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი		
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მუხლები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალების ერთეულის თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი ნაწილდება ადმინისტრაციულ და მიწოდების ხარჯებზე აქტივების ფუნქციური დანიშნულების მიხედვით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები:

ძირითადი საშუალებების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობები	20-30
მანქანა-დანადგარები	2-5
ოფისის აღჭურვილობა	2-10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-10
სატრანსპორტო საშუალებები	5-10

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საბაჟო გადასახადსა და სხვა აუნაზღაურებელ გადასახადებს, ტრანსპორტირებისა და დატვირთვის დანახარჯებსა და ნებისმიერ სხვა პირდაპირ მიკუთვნებად დანახარჯებს.

თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია ძირითად საშუალებებისათვის ამოწმებს ხომ არ არსებობს გაუფასურების ნიშნები. თუ ამგვარი ნიშნები არსებობს აღდგენილი აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება) აღდგენითი ღირებულება. აღდგენითი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის.

თუ აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, საბალანსო ღირებულება მცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში რეალიზებული საქონლის თვითღირებულების მუხლში.

როდესაც ხდება გაუფასურების ზარალის შემდგომი აღდგენა, აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება მის აღდგენითი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტებისაგან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მოთხოვნამდე ანგარიშებზე განთავსებულ ფულს.

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. საწარმო სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით. შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა მოხდეს განისაზღვროს არსებობს თუ არა მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. საწარმო გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

(ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

(გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით.

საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი.

საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრუდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს საქონლის საბითუმო რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებს.

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს, რომლის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, დაბრუნებული თანხების, გადასახადებისა და მოსაკრებლების და სავაჭრო ფასდათმობისა და მოცულობის გამო ფასდაკლების გამოკლებით.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან ამონაგებისა გარდა, აღიარება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება თუ მოსალოდნელია საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებებთან. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას. კომპანიის საგადასახადო ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც რომელიც ძალაშია საანგარიშგებო თარიღისათვის.

2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადის შესახებ ცვლილება ითვალისწინებს მოგების გადასახადით დაბეგვრას მოგების განაწილების დროს. საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს კვლავ 15%-ს. მოგების გადასახადით მოხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგვრა.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებული მოგების განაწილებისას, თუ ასეთი მოგება ნაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში, ხდება წინა წლებში გადახდილი მოგების გადასახადის ჩათვლა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ მოგებაზე ფაქტიურად დარიცხულ მოგების გადასახადს. აღნიშნული აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება.

დივიდენდების განაწილების გარდა მოგების გადასახადი გადაიხდება იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აღნიშნული გადასახადი აღირიცხება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში სხვა ხარჯების მუხლში.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადახურვით.

4. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიიჩნევა, რომ გონიერული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია და ემყარება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა მოსალოდნელი მოხმარება, შეფასებული ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და ფიზიკური გარემო, სადაც გამოიყენება აქტივი. ზემოაღნიშნული პირობებიდან ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

უიმედო ვალების რეზერვი

სავაჭრო დებიტორული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული კლიენტებისგან თანხების ამოღება. ამრეზერვის შეფასებისას ხელმძღვანელობა ეფუძნება მოთხოვნების ნაშთების ვადას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის სანდოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის ან კონკრეტული კლიენტის პირობების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული რეზერვის კორექტირება.

ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობაში

საქართველოში მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციებს. ამის გამო საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ გარიგებები და კომპანიას დააკისრონ მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

საგადასახადო და საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ, საგადასახადო კუთხით შეამოწმონ კომპანიის საქმიანობა წინა სამი კალენდარული წლის განმავლობაში. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოიცვას.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები უცვლელი დარჩება.

5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

(თანხები წარმოდგენილია ლარში)	2021-12-31	2020-12-31
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	24,734	5,519
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	205,112	73,744
სულ	229,846	79,263

6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

(თანხები წარმოდგენილია ლარში)	2021-12-31	2020-12-31
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	619,202	462,259
გადახდილი ავანსები	378,877	178,111
სულ	998,079	640,370

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯმა 2021 წელს შეადგინა 956 ლარი (2020 წელს 280 ლარი), იგი ჩართულია მუხლში - "ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი".

7. მარაგები

(თანხები წარმოდგენილია ლარში)	2021-12-31	2020-12-31
საქონელი	660,522	600,289
სხვა	16,154	6,444
სულ	676,676	606,733

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 1,809,180 ლარი (2020 წელს 1,290,439 ლარი). მიმდინარე პერიოდში მარაგებისთვის აღიარებული გაუფასურების ზარალმა შეადგინა 0 ლარი (2020 წელს 0 ლარი).

შპს ინტერპოლ

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

8. ძირითადი საშუალებები

(თანხები წარმოდგენილია ლარში)	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	დაუმთავრებელი გშენებლობა	სულ
31 დეკემბერი 2020	79,463	460,335	1,864	10,250	66,284	100,574	528,092	1,246,862
შემოსვლა	-	-	-	-	-	1,567	158,227	159,794
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	79,463	460,335	1,864	10,250	66,284	102,141	686,319	1,406,656
ცვეთა და გაუფასურება								
31 დეკემბერი 2020	-	(105,625)	(668)	(6,596)	(37,885)	(58,126)	-	(208,900)
პერიოდის ამორტიზაცია	-	(17,735)	(96)	(731)	(2,467)	(10,943)	-	(31,972)
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	-	(123,360)	(764)	(7,327)	(40,352)	(69,069)	-	(240,872)
ნეტო საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი 2020	79,463	354,710	1,196	3,654	28,399	42,448	528,092	1,037,962
31 დეკემბერი 2021	79,463	336,975	1,100	2,923	25,932	33,072	686,319	1,165,784

შპს ინტერლაბი

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

(თანხები წარმოდგენილია ლარში)	2021-12-31	2020-12-31
სავაჭრო ვალდებულებები	458,864	123,990
მიღებული ავანსები	318,608	128,711
გადასახდელი ხელფასები	24,563	6,260
სხვა ვალდებულებები	33,763	33,763
სულ	835,798	292,724

10. მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი

(თანხები წარმოდგენილია ლარში)	2021-12-31	2020-12-31
მოკლევადიანი სესხი	244,750	156,050
გრძელვადიანი სესხი	109,360	124,203
სულ	354,110	280,253

სესხი მიღებულია ბანკისგან, იგი დენომინირებულია ევროში. საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 6%-ს. სესხი დაფარავდა 2023 წლის მაისში. სესხი არ არის უზრუნველყოფილი.

11. ამონაგები

(თანხები წარმოდგენილია ლარში)	2021 წელი	2020 წელი
საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	2,774,830	1,948,992
სულ	2,774,830	1,948,992

12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

(თანხები წარმოდგენილია ლარში)	2021 წელი	2020 წელი
შრომის ანაზღაურება	(253,183)	(189,991)
ცვეთის ხარჯი	(31,972)	(35,435)
მომსახურების ხარჯი	(3,876)	(11,597)
ბანკის ხარჯი	(18,329)	(14,003)
კომუნალური ხარჯები	(13,059)	(8,673)
კომუნიკაციის ხარჯები	(1,866)	(2,426)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(45,287)	(41,751)
ოფისის ხარჯი	(13,971)	(4,356)
დაცვის ხარჯი	(1,271)	(1,270)
სულ	(382,814)	(309,502)

შპს ინტერლაბი

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

13. მიწოდების ხარჯები

(თანხები წარმოდგენილია ლარში)	2021 წელი	2020 წელი
ტრანსპორტირების ხარჯი	(13,665)	(10,644)
რეკლამის ხარჯი	(85)	(144)
სულ	(13,750)	(10,788)

14. მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან - წმინდა

(თანხები წარმოდგენილია ლარში)	2021 წელი	2020 წელი
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება	93,419	418,176
საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი	(105,415)	(439,857)
სულ	(11,996)	(21,681)

15. ფინანსური ხარჯი

(თანხები წარმოდგენილია ლარში)	2021 წელი	2020 წელი
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(93,052)	(91,408)
სულ	(93,052)	(91,408)

16. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

"2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წლის მფლობელი არის ზურაბ მაისურაძე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები არ განხორციელებულა."

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება:

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2021	31.12.2020
შრომის ანაზღაურება მთლიანად	19,550	17,700
სულ	19,550	17,700

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

"საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიამ გამოაცხადა დივიდენდი 127,000 ლარის ოდენობით. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სხვა მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ექონია."

18. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

2020 წლის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების შემდეგ, კომპანიამ აღმოაჩინა სააღრიცხვო შეცდომები. შეცდომების გასწორება მოხდა რეტროსპექტულად, აღნიშნულის გამო 2020 წლის საწყისი გაუნაწილებელი მოგება შემცირდა 60,522 ლარით.

შპს ინტერლაბი

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს ინტერლაბი

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3
მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	5
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	6
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. მომზადების საფუძველი	6
3. სააღრიცხვო პოლიტიკა	6
4. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ	10
5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	11
6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	11
7. მარაგები	11
8. ძირითადი საშუალებები	12
9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	13
10. მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი	13
11. ამონაგები	13
12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	13
13. მიწოდების ხარჯები	14
14. მოგება/ზარალი საკუთარ სხვაობიდან - წმინდა	14
15. ფინანსური ხარჯი	14
16. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	14
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	14
18. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება	15

შპს ინტერლაბი

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები წარმოდგენილია ლარში)	შენიშვნა	2021-12-31	2020-12-31
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები (2020 წელს ადრე წარდგენილი 217,977 ლარი)	5	229,846	79,263
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები (2020 წელს ადრე წარდგენილი 629,906 ლარი)	6	998,079	640,370
საგადასახადო აქტივები (2020 წელს ადრე წარდგენილი 238,974 ლარი)		305,019	139,529
მარაგები (2020 წელს ადრე წარდგენილი 614,782 ლარი)	7	676,676	606,733
სულ მოკლევადიანი აქტივები (2020 წელს ადრე წარდგენილი 1,701,638 ლარი)		2,209,620	1,465,895
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები (2020 წელს ადრე წარდგენილი 1,037,902 ლარი)	8	1,165,784	1,037,962
სულ გრძელვადიანი აქტივები (2020 წელს ადრე წარდგენილი 1,037,902 ლარი)		1,165,784	1,037,962
მთლიანი აქტივები (2020 წელს ადრე წარდგენილი 2,739,540 ლარი)		3,375,404	2,503,857
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები (2020 წელს ადრე წარდგენილი 290,166 ლარი)	9	835,798	292,724
მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი	10	244,750	156,050
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები (2020 წელს ადრე წარდგენილი 446,216 ლარი)		1,080,548	448,774
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები (2020 წელს ადრე წარდგენილი 133,907 ლარი)	10	109,360	124,203
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები (2020 წელს ადრე წარდგენილი 133,907 ლარი)		109,360	124,203
მთლიანი ვალდებულებები (2020 წელს ადრე წარდგენილი 580,123 ლარი)		1,189,908	572,977
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი) (2020 წელს ადრე წარდგენილი 2,159,418 ლარი)		2,185,496	1,930,880
სულ საკუთარი კაპიტალი (2020 წელს ადრე წარდგენილი 2,159,418 ლარი)		2,185,496	1,930,880
მთლიანი ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი (2020 წელს ადრე წარდგენილი 2,739,541 ლარი)		3,375,404	2,503,857

დირექტორი

ზურაბ მაისურაძე

6-15 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს ინტერლაბი

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები წარმოდგენილია ლარში)	შენიშვნა	2021 წელი	2020 წელი
ამონაგები	11	2,774,830	1,948,992
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება (2020 წელს ადრე წარდგენილი -1,290,449 ლარი)		(1,809,180)	(1,290,439)
საერთო მოგება (2020 წელს ადრე წარდგენილი 658,543 ლარი)		965,650	658,553
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი (2020 წელს ადრე წარდგენილი -263,771 ლარი)	12	(382,814)	(309,502)
მიწოდების ხარჯები (2020 წელს ადრე წარდგენილი -10,411 ლარი)	13	(13,750)	(10,788)
სხვა შემოსავლები/ხარჯები-წმინდა (2020 წელს ადრე წარდგენილი 1,365 ლარი)		(16,234)	(15,709)
მოგება/(ზარალი) საკუთროს სხვაობიდან - წმინდა (2020 წელს ადრე წარდგენილი -5,195 ლარი)	14	(11,996)	(21,681)
საოპერაციო მოგება (2020 წელს ადრე წარდგენილი 380,531 ლარი)		540,856	300,873
ფინანსური ხარჯი (2020 წელს ადრე წარდგენილი -83,926 ლარი)	15	(93,052)	(91,408)
მოგება დაბეგვრამდე (2020 წელს ადრე წარდგენილი 296,605 ლარი)		447,804	209,465
მოგების გადასახადი (2020 წელს ადრე წარდგენილი -943 ლარი)		(28,978)	(27,214)
წმინდა მოგება (2020 წელს ადრე წარდგენილი 295,662 ლარი)		418,826	182,251
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი ადრე წარდგენილი		-	2,001,256
წინა პერიოდის შეცდომების გასწორება		-	(60,522)
გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი გადაანგარიშებული		1,930,880	1,940,734
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		(164,210)	(192,105)
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		2,185,496	1,930,880

დირექტორი

ზურაბ მაისურაძე

6-15 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს ინტერლაბი

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები წარმოდგენილია ლარში)	2021 წელი	2020 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოძმარებლებიდან მიღებული ფულადი სახსრები (2020 წელს ადრე წარდგენილი 2,473,198 ლარი)	3,129,723	2,377,826
ფულადი სახსრების სხვა შემოსვლები (2020 წელს ადრე წარდგენილი 0 ლარი)	33,482	-
მოძმოდებლებზე გადახდილი თანხები (2020 წელს ადრე წარდგენილი - 1,716,335 ლარი)	(2,109,875)	(1,676,989)
თანამშრომლებზე გადახდილი თანხები (2020 წელს ადრე წარდგენილი -169,609 ლარი)	(190,507)	(178,189)
სხვა საოპერაციო ფულადი გასაღებები (2020 წელს ადრე წარდგენილი -8,580 ლარი)	(373,592)	(233,176)
გადახდილი გადასახადები (2020 წელს ადრე წარდგენილი -143,485 ლარი)	-	-
გადახდილი დივიდენდი (2020 წელს ადრე წარდგენილი -137,500 ლარი)	(156,000)	(147,500)
გადახდილი პროცენტები (2020 წელს ადრე წარდგენილი -89,611 ლარი)	(93,052)	(91,408)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან (2020 წელს ადრე წარდგენილი 208,077 ლარი)	240,179	50,564
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა (2020 წელს ადრე წარდგენილი 0 ლარი)	(159,794)	(37,992)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან (2020 წელს ადრე წარდგენილი 0 ლარი)	(159,794)	(37,992)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სასესხო ვალდებულებების ზრდა (2020 წელს ადრე წარდგენილი 69,900 ლარი)	177,933	162,688
სასესხო ვალდებულებების დაფარვა (2020 წელს ადრე წარდგენილი -72,900 ლარი)	(111,280)	(90,065)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან (2020 წელს ადრე წარდგენილი -3,000 ლარი)	66,653	72,623
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების ნეტო ზრდა (2020 წელს ადრე წარდგენილი 205,077 ლარი)	147,038	85,195
არარეალიზებული მოგება/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებში (2020 წელს ადრე წარდგენილი -8,957 ლარი)	3,545	(9,197)
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საწყისი ნაშთი (2020 წელს ადრე წარდგენილი 21,857 ლარი)	79,263	3,265
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საბოლოო ნაშთი (2020 წელს ადრე წარდგენილი 217,977 ლარი)	229,846	79,263

დირექტორი _____

ზურაბ მაისურაძე

6-15 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ინტერლაბი (კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2010 წლის 29 ოქტომბერს. კომპანიის 100%-იანი წლის მფლობელი და ასევე დირექტორი არის ზურაბ მაისურაძე.

კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა ფარმაცევტული საქონლით.

კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, მირიან მეფის ქ., №11ა

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

მსს ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული და დამტკიცებულია 2022 წლის 30 სექტემბერს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

სამუშაო და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში.

ოპერაციები და ნაშთები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის საოპერაციო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (უცხოური ვალუტები) წარმოებული ტრანზაქციები აღირიცხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსით.

შპს ინტერლაბი

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წლის ბოლოსათვის დადგენილი ოფიციალური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მუხლში, „მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან-წმინდა“.

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი ერთეულები, რომლებიც აისახება თავდაპირველი ღირებულებით, კონვერტირდება ტრანზაქციის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით.

კომპანიას მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას წლის ბოლოს მდგომარეობით გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი		
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მუხლები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალების ერთეულის თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შემენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი ნაწილდება ადმინისტრაციულ და მიწოდების ხარჯებზე აქტივების ფუნქციური დანიშნულების მიხედვით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები:

ძირითადი საშუალებების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობები	20-30
მანქანა-დანადგარები	2-5
ოფისის აღჭურვილობა	2-10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-10
სატრანსპორტო საშუალებები	5-10

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საბაჟო გადასახადსა და სხვა აუნაზღაურებელ გადასახადებს, ტრანსპორტირებისა და დატვირთვის დანახარჯებსა და ნებისმიერ სხვა პირდაპირ მიკუთვნებელ დანახარჯებს.

თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია ძირითად საშუალებებისათვის ამოწმებს ხომ არ არსებობს გაუფასურების ნიშნები. თუ ამგვარი ნიშნები არსებობს დგინდება აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება) აღდგენითი ღირებულება. აღდგენითი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის.

თუ აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, საბალანსო ღირებულება მცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში რეალიზებული საქონლის თვითღირებულების მუხლში.

როდესაც ხდება გაუფასურების ზარალის შემდგომი აღდგენა, აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება მის აღდგენითი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტებისაგან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მოთხოვნამდე ანგარიშებზე განთავსებულ ფულს.

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. საწარმო სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით. შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა მოხდეს განისაზღვროს არსებობს თუ არა მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. საწარმო გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

(ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

(გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით.

საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი.

საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს საქონლის საბითუმო რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებს.

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს, რომლის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, დაბრუნებული თანხების, გადასახადებისა და მოსაკრებლების და სავაჭრო ფასდათმობისა და მოცულობის გამო ფასდაკლების გამოკლებით.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან ამონაგებისა გარდა, აღიარება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება თუ მოსალოდნელია საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებებთან. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას. კომპანიის საგადასახადო ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც რომელიც ძალაშია საანგარიშგებო თარიღისათვის.

2016 წლის მასში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადის შესახებ ცვლილება ითვალისწინებს მოგების გადასახადით დაბეგვრას მოგების განაწილების დროს. საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს კვლავ 15%-ს. მოგების გადასახადით მოხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგვრა.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებული მოგების განაწილებისას, თუ ასეთი მოგება ნაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში, ხდება წინა წლებში გადახდილი მოგების გადასახადის ჩათვლა, რომელიც არ უნდა აღმატებოდეს განაწილებულ მოგებაზე ფაქტიურად დარიცხულ მოგების გადასახადს. აღნიშნული აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება.

დივიდენდების განაწილების გარდა მოგების გადასახადი გადაიხდება იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აღნიშნული გადასახადი აღირიცხება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში სხვა ხარჯების მუხლში.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბრის, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდეზე. შედეგად 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადახურვით.

4. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიიჩნევა, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია და ემყარება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა მოსალოდნელი მოხმარება, შეფასებული ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და ფიზიკური გარემო, სადაც გამოიყენება აქტივი. ზემოაღნიშნული პირობებიდან ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

უიმედო ვალების რეზერვი

სავაჭრო დებიტორული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული კლიენტებისგან თანხების ამოღება. ამრეზერვის შეფასებისას ხელმძღვანელობა ეფუძნება მოთხოვნების ნაშთების ვადას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის სანდოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის ან კონკრეტული კლიენტის პირობების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული რეზერვის კორექტირება.

ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობაში

საქართველოში მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციებს. ამის გამო საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ გარიგებები და კომპანიას დააკისრონ მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

საგადასახადო და საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ, საგადასახადო კუთხით შეამოწმონ კომპანიის საქმიანობა წინა სამი კალენდარული წლის განმავლობაში. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდის მოიცვას.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები უცვლელი დარჩება.

5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

(თანხები წარმოდგენილია ლარში)	2021-12-31	2020-12-31
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	24,734	5,519
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	205,112	73,744
სულ	229,846	79,263

6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

(თანხები წარმოდგენილია ლარში)	2021-12-31	2020-12-31
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	619,202	462,259
გადახდილი ავანსები	378,877	178,111
სულ	998,079	640,370

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯმა 2021 წელს შეადგინა 956 ლარი (2020 წელს 280 ლარი), იგი ჩართულია მუხლში - "ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი".

7. მარაგები

(თანხები წარმოდგენილია ლარში)	2021-12-31	2020-12-31
საქონელი	660,522	600,289
სხვა	16,154	6,444
სულ	676,676	606,733

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 1,809,180 ლარი (2020 წელს 1,290,439 ლარი). მიმდინარე პერიოდში მარაგებისთვის აღიარებული გაუფასურების ზარალმა შეადგინა 0 ლარი (2020 წელს 0 ლარი).

შპს ინტერლაბი

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

8. ძირითადი საშუალებები

(თანხები წარმოდგენილია ლარში) თვითღირებულება	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
31 დეკემბერი 2020	79,463	460,335	1,864	10,250	66,284	100,574	528,092	1,246,862
შემოსვლა	-	-	-	-	-	1,567	158,227	159,794
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	79,463	460,335	1,864	10,250	66,284	102,141	686,319	1,406,656
ცვეთა და გაუფასურება								
31 დეკემბერი 2020	-	(105,625)	(668)	(6,596)	(37,885)	(58,126)	-	(208,900)
პერიოდის ამორტიზაცია	-	(17,735)	(96)	(731)	(2,467)	(10,943)	-	(31,972)
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	-	(123,360)	(764)	(7,327)	(40,352)	(69,069)	-	(240,872)
ნეტო საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი 2020	79,463	354,710	1,196	3,654	28,399	42,448	528,092	1,037,962
31 დეკემბერი 2021	79,463	336,975	1,100	2,923	25,932	33,072	686,319	1,165,784

შპს ინტერლაბი

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

(თანხები წარმოდგენილია ლარში)	2021-12-31	2020-12-31
სავაჭრო ვალდებულებები	458,864	123,990
მიღებული ავანსები	318,608	128,711
გადასახდელი ხელფასები	24,563	6,260
სხვა ვალდებულებები	33,763	33,763
სულ	835,798	292,724

10. მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი

(თანხები წარმოდგენილია ლარში)	2021-12-31	2020-12-31
მოკლევადიანი სესხი	244,750	156,050
გრძელვადიანი სესხი	109,360	124,203
სულ	354,110	280,253

სესხი მიღებულია ბანკისგან, იგი დენომინირებულია ევროში. საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 6%-ს. სესხი დაფარავდა 2023 წლის მაისში. სესხი არ არის უზრუნველყოფილი.

11. ამონაგები

(თანხები წარმოდგენილია ლარში)	2021 წელი	2020 წელი
საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	2,774,830	1,948,992
სულ	2,774,830	1,948,992

12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

(თანხები წარმოდგენილია ლარში)	2021 წელი	2020 წელი
შრომის ანაზღაურება	(253,183)	(189,991)
ცვეთის ხარჯი	(31,972)	(35,435)
მომსახურების ხარჯი	(3,876)	(11,597)
ბანკის ხარჯი	(18,329)	(14,003)
კომუნალური ხარჯები	(13,059)	(8,673)
კომუნიკაციის ხარჯები	(1,866)	(2,426)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(45,287)	(41,751)
ოფისის ხარჯი	(13,971)	(4,356)
დაცვის ხარჯი	(1,271)	(1,270)
სულ	(382,814)	(309,502)

შპს ინტერლაბი

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

13. მიწოდების ხარჯები

(თანხები წარმოდგენილია ლარში)	2021 წელი	2020 წელი
ტრანსპორტირების ხარჯი	(13,665)	(10,644)
რეკლამის ხარჯი	(85)	(144)
სულ	(13,750)	(10,788)

14. მოგება/ზარალი საკუროს სხვაობიდან - წმინდა

(თანხები წარმოდგენილია ლარში)	2021 წელი	2020 წელი
საკუროს სხვაობით მიღებული მოგება	93,419	418,176
საკუროს სხვაობით მიღებული ზარალი	(105,415)	(439,857)
სულ	(11,996)	(21,681)

15. ფინანსური ხარჯი

(თანხები წარმოდგენილია ლარში)	2021 წელი	2020 წელი
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(93,052)	(91,408)
სულ	(93,052)	(91,408)

16. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

"2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წლის მფლობელი არის ზურაბ მაისურაძე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები არ განხორციელებულა."

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება:

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2021	31.12.2020
შრომის ანაზღაურება მთლიანად	19,550	17,700
სულ	19,550	17,700

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

"საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიამ გამოაცხადა დივიდენდი 127,000 ლარის ოდენობით.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სხვა მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ქონია.

18. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

2020 წლის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების შემდეგ, კომპანიამ აღმოაჩინა სააღრიცხვო შეცდომები. შეცდომების გასწორება მოხდა რეტროსპექტულად, აღნიშნულის გამო 2020 წლის საწყისი გაუნაწილებელი მოგება შემცირდა 60,522 ლარით.